საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/36

ქ. ბათუმი 20 ივლისი, 2020 წ.

„ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის №06-01/70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 13 ივლისის MES 5 20 0000595937, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 13 ივლისის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 13 ივლისის MES 0 20 0000595617, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 14 წლის MES 2 20 0000597202, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 17 ივლისის MES 7 20 0000609843, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 17 ივლისის MES 9 20 0000611194 და ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 20 ივლისის MES 9 20 0000613255 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის №06-01/70 დადგენილების პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება მოხდეს **2020 წლის 06 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით.**”

2. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
3. წინამდებარე დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერის თანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**